სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდაოთხი წლის ორ ივლისს, მე, ნოტარიუსს ელენა გელაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი, ალეკო გობრონიძის ქუჩა 1 ბ, სართული 2, #6, მომმართა **შპს " შპს ბესტ ოფერ გრუპ თბილისი" -ის (ს/კ400359713)** დირექტორმა (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადების თარიღი 20/06/2023წ., განცხადების # B23084902) **დავით გაჩეჩილაძემ (დაბ.09.03.1991წ, პირადი # 01001069746, გაცხ.მის.: საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, V მიკრო/რაიონი, კორპუსი 26ა, ბინა 85).** მან განაცხადა, რომ სურს, შეადგინოს მინდობილობა, რომელიც დადასტურდება სანოტარო წესით. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი, ზემოთ მითითებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **დავით გაჩეჩილაძემ** მომმართა. დირექტორის უფლებამოსილება შემოწმებულია **სადამფუძნებლო შეთანხმებით დამოწმებული ნოტარიუს დავით ოყროშიძის მიერ, დამოწმების თარიღი 30.05.2023, რეგ#230694794 და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადების თარიღი 20/06/2023წ., განცხადების # B23084902,** რომელთა ასლებიც თან ერთვის წინამდებარე მინდობილობას. ვადასტურებ, რომ მიმნდობის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. მე შევამოწმე მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობა, რომელიც მან თვითონ წაიკითხა. მიმნდობმა მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას. მიმნდობმა ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მინდობილობა

ორი ათას ოცდაოთხი წლის ორ ივლისს, **შპს " შპს ბესტ ოფერ გრუპ თბილისი" -ის (ს/კ400359713) დირექტორი დავით გაჩეჩილაძე - მიმნდობი, ელგუჯა პატაშურს (დაბ:21.04.1976წ. პ/ნ 01011043635), მინდობილ პირს, ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:** მინდობილი პირი უფლებამოსილია მიმნდობის კუთვნილ უძრავ ქონებაზე: **ქალაქი თბილისი , გორგასალის ქუჩა N75-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , ვახტანგ გორგასლის ქუჩის შესახვევი N14ბ; ქალაქი თბილისი, ქუჩა ვახტანგ გორგასალი , შესახვევი , N 14 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , მინისტრთა კაბინეტის მთავ. სამეურნ. სამმართველოს, და შინაგან საქმეთა სამინისტროს N2 და N3 სახლების მიმდებარედ, ს/კ#01.18.09.002.052,** საკუთარი შეხედულებისამებრ უზრუნველყოს ნებისმიერი სახის მშენებლობის წარმოება, განსაზღვროს მშენებლობის ნებისმიერი პირობა საკუთარი შეხედულებისამებრ. ზემოხსენებული დავალების შესრულების ფარგლებში მინდობილი პირი უფლებამოსილია წარმომადგინოს ნებისმიერ სახელმწიფო, არასახელმწიფო დაწესებულებაში, საჯარო და კერძო პირებთან ურთიერთობაში, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში, მერიაში, იუსტიციის სახლში (საჯარო რეესტრის ეროვნულ საგენტოში), ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, ზედამხედველობის სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში, არქიტექტურის სამსახურში, არქივში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერ იურიდიულ ან ფიზიკურ პირებთან, ჩემი სახელით შეიტანოს განცხადებები, მოიპოვოს (გამოითხოვოს) ნებისმიერი სახისა და შინაარსის დოკუმენტები, შეათანხმოს შესაბამისი სამშენებლო პროექტი შესაბამის კომპეტენტურ ორგანოში, აიღოს მშენებლობის ნებართვა, გააგრძელოს ვადები, შეწყვიტოს არსებული პროექტი, გააუქმოს შეთანხმებული პროექტი, წარადგინოს ნებისმიერი დოკუმენტი, მოაწეროს ხელი ნებისმიერ დოკუმენტს, გადაიხადოს მოსაკრებელი და შეასრულოს კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი პროცედურა, რაც საჭირო იქნება მინიჭებული უფლებამოსილების შესრულებასთან.

<u>მინდობილობა გაცემულია სამი თვის ვადით.</u> მიმნდობს განემარტა, რომ იგი უფლებამოსილია ვადამდე გააუქმოს მინდობილობა და ამასთან, ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს მის მინდობილ პირს.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის სანოტარო ბიუროს არქივში.

მინდობილობის სანოტარო ეგზემპლარს თან ერთვის: ა) სადამფუძნებლო შეთანხმება დამოწმებული ნოტარიუს დავით ოყროშიძის მიერ, დამოწმების თარიღი 30.05.2023, რეგ#230694794 და ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადების თარიღი 20/06/2023წ., განცხადების # B23084902.

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდევინებულია საზღაური: ჯამურად 40.40 (ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი) , მათ შორის: 30 (ოცდაათი) ლარი `სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლის საფუძველზე, სარეგისტრაციო მოსაკრებელი 5 (ხუთი) ლარი - ამავე დადგენილების 39.1 მუხლის საფუძველზე და დღგ 5.4 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

"მიმნდობი" ---დავით გაჩეჩილაძე---

ნოტარიუსი ელენა გელაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
65809503828924

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N240825035

რეგისტრაციის თარიღი

02.07.2024 წ

ნოტარიუსი: ელენა გელაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ალეკო გობრონიძის ქუჩა 1 ბ, სართული 2, №6
ტელეფონი: +99598101011

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18